

## სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება და ევროპული სტანდარტები

სტატია მიმოიხილავს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების შინაარსის განმარტებისათვის მნიშვნელოვან საერთაშორისო სტანდარტებს. აღნიშნული ღირებულება ერთის მხრივ უფლების კონსტიტუციური სტანდარტის დადგენისათვის, ასევე არსებითია ადმინისტრაციული სამართლის ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოების უკვე კარგად ჩამოყალიბებული სტანდარტების მიმართ ზეგავლენის მასშტაბის განსაზღვრისათვის.

კვლევაში გაზიარებულია მოსაზრება, რომ ეტაპობრივად განვითარებული თანამედროვე კარგი მმართველობის პრინციპები მოიაზრებს კარგი მმართველობის უფლებას, რაც საქართველოს კონსტიტუციით დაცულ სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლებასაც მიემართება. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო ევროპული სამართლის სისტემის ოჯახს მიეკუთვნება, საერთაშორისო სტანდარტებზე მსჯელობისას განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებები. სტატიაში ასევე მიმოიხილულია კვლევის დროისთვის საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლებასთან დაკავშირებით.

დასკვნის სახით კი წარმოდგენილია ის ელემენტები, რაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით კარგი მმართველობის უფლების შინაარსს განსაზღვრავს, მათ შორის, გადაწყვეტილებების მიღება: გონივრულ ვადებში, გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის შემდეგ და სათანადო დასაბუთებით, დაინტერესებული პირების კანონიერი ნდობის დაცვა, საჯარო ინტერესებსა და კერძო ინტერესებს შორის ბალანსის დაცვა, პროცედურების გაწერა ცხადად და მკაფიოდ და ა.შ.

**საკვანძო სიტყვები:** სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება, კარგი მმართველობა, ადამიანის უფლებები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.

### 1. შესავალი

საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს განხორციელებული უმნიშვნელოვანესი ცვლილებების შედეგად ქვეყნის უზენაესმა კანონმა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა რიცხვს მიაკუთვნა ისეთი უფლებები როგორცაა, აკადემიური თავისუფლების, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და ინტერნეტზე წვდომის ძირითადი უფლებები,<sup>1</sup> სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფორმაციული თვითგამორკვევისა და საჯარო ხელისუფლების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებები.<sup>2</sup>

\* სამართლის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი; საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე. <https://orcid.org/0009-0001-9771-3175>.

<sup>1</sup> კუბლაშვილი კ., საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ხარვეზები და გამოწვევები, კრებულში: საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, *ვარძელშვილი კ. (რედ.), N14, თბილისი, 2020, 85-86, <<https://ewmi-ruleoflawgeo.org/uploads/files/597114fpGEO.pdf.pdf>> [14.08.2023]*.

<sup>2</sup> საქართველოს კონსტიტუცია, მე-17, მე-18, 27-ე მუხლები, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულია: „ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება.“<sup>3</sup> ცხადია სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, როგორც უფლების შინაარსი აქამდეც არ იყო უცხო ქართული სამართლებრივი სისტემისთვის. ადმინისტრაციული წარმოების უმნიშვნელოვანესი პრინციპები და პროცედურული გარანტიები ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით 2000 წლიდან არის დადგენილი,<sup>4</sup> თუმცა 2017 წლიდან სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლებამ კონსტიტუციური სამართლებრივი შინაარსი და მნიშვნელობა შეიძინა.

წარმოდგენილი სტატიის მიზანია, მიმოიხილოს აღნიშნული კონსტიტუციური ნორმის შინაარსის განმარტებისათვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები. აღნიშნული ცხადია ღირებულია ერთის მხრივ უფლების კონსტიტუციური სტანდარტის დადგენისათვის, ასევე არსებითია ადმინისტრაციული სამართლის ფარგლებში ადმინისტრაციული წარმოების უკვე კარგად ჩამოყალიბებული სტანდარტების მიმართ ზეგავლენის მასშტაბის განსაზღვრისათვის. ამასთანავე, პრაქტიკული მნიშვნელობის გარდა, ეს იქნება პირველი მცდელობა აკადემიურ სივრცეში ამ პერსპექტივიდან იქნას განხილული საკითხი, რაც იმედია მომავალში კიდევ უფრო მეტი და სიღრმისეული სამეცნიერო განხილვების ინსპირაცია გახდება.

პროფესორი პაატა ტურავას მოსაზრებით, სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების ძირითადი უფლება ბოჭავს ხელისუფლების სამივე შტოს.<sup>5</sup> აღნიშნული საკანონმდებლო ხელისუფლებისთვის ნიშნავს მის ვალდებულებას, ადმინისტრაციული წარმოების მომწესრიგებელი კანონი მიიღოს კონსტიტუციით გარანტირებული ძირითადი უფლებების შესაბამისად, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის კი მათ ვალდებულებას, ამ ძირითადი უფლებების შინაარსის შესაბამისად განმარტონ კანონის ნორმები და შესაბამისად უზრუნველყონ მათი აღსრულება.<sup>6</sup> ცხადია სამივე მიმართულებით უფლების სტანდარტის კვლევა და ანალიზი მნიშვნელოვანია, თუმცა სტატიის ფარგლებში ადმინისტრაციული სამართლიანი წარმოების, როგორც ძირითადი უფლებით დაცული სფეროს შინაარსი განხილულია საჯარო მმართველობის განხორციელების მიზნებისათვის.

კონსტიტუციით გამყარებული ძირითადი უფლებების განმარტების და შინაარსის განსაზღვრისთვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკას. თუმცა საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წლის ცვლილებების განხორციელებიდან მცირე დროის გასვლის და საკონსტიტუციო სასამართლოში საქმეთა განხილვის ხანგრძლივი ვადების გათვალისწინებით, სასამართლოს ამ დრომდე მხოლოდ რამდენიმე საქმის ფარგლებში აქვს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლებასთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტებები, რაც სტატიაში მოკლედია მიმოხილული.

როგორც უკვე აღინიშნა, სტატიის მიზანია სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების განმარტების მიზნებისათვის, საერთაშორისო სტანდარტების განხილვა, რაც

<sup>3</sup> იქვე, მე-18 მუხლი.

<sup>4</sup> საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 32(39), 15/07/1999.

<sup>5</sup> ტურავა პ., სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება როგორც ძირითადი კონსტიტუციური უფლება და მისი ინსტიტუციური გარანტია, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, კორკელია კ. (რედ.), თბილისი, 2018, 248, <<https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2021/06/42.-adamianis-uphleatha-datsva-kanonmdebloba-da-praktika-statiatha-krebuli.pdf>> [14.08.2023].

<sup>6</sup> იქვე.

ასეთი ერთ-ერთი პირველი მცდელობაა ქართულ აკადემიურ სივრცეში. საქართველო ევროპული სამართლის სისტემის ოჯახს მიეკუთვნება და ცხადია, როცა უფლებრივ სტანდარტებზე საუბარი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას (შემდგომში ევროპული კონვენცია) და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (შემდგომში სტრასბურგის სასამართლო) პრაქტიკას,<sup>7</sup> ასევე მნიშვნელოვანია ის სტანდარტებიც, რასაც ევროპის საბჭო მინისტრთა კომიტეტის გადაწყვეტილებებით ადგენს.<sup>8</sup>

სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების გათვალისწინებითაც, რომელშიც მიეთითა, რომ „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმების გამოყენებისას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებები ამ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ნორმების ოფიციალურ განმარტებებზე მიიჩნევა და აღნიშნული ნორმების გამოყენებულს შეუძლია ამ განმარტებებს დაეყრდნოს.<sup>9</sup> ამდენად, სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შიდა ეროვნული უფლებრივი სტანდარტის ჩამოყალიბებასა და განვითარებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ სტატიის ფარგლებში განხილულია კარგი მმართველობის პრინციპები თუმცა სტატიის მიზნის და ფარგლების გათვალისწინებით, შეუძლებელია მასში სიღრმისეულად იქნას განხილული საჯარო მმართველობის და კარგი მმართველობის ცნებები, ისევე როგორც მათი ურთიერთმიმართება.<sup>10</sup> გარდა ამისა, სტატიაში არ არის ასევე მიმოხილული განსხვავებული სამეცნიერო მოსაზრებები<sup>11</sup> საჯარო/კარგ მმართველობასა და სამართლიან ადმინისტრაციულ წარმოების უფლებას შორის არსებულ კავშირზე. სტატიაში სრულად გაზიარებულია მეცნიერთა ნაწილის მოსაზრება,<sup>12</sup> რომლის ნორმატიულ საფუძველს ევროკავშირის ფუნდამენტურ უფლებათა ქარტიის 41-ე მუხლი წარმოადგენს და რომელიც ადგენს უფლებას კარგ მმართველობაზე.<sup>13</sup> აღნიშნული მოსაზრებების თანახმად, ეტაპობრივად განვითარებული თანამედროვე კარგი მმართველობის პრინციპები მოიაზრებს კარგი მმარ-

<sup>7</sup> *Gvaramadze T., Georgian Administrative Law: From Soviet Era to European Standards, Book Title: Good Administration and the Council of Europe: Law, Principles, and Effectiveness, Shtelkens Ul. Andrijauskaitė Ag., (eds.), Oxford University Press, 2020, 707.*

<sup>8</sup> *Shtelkens Ul. Andrijauskaitė Ag., Added Value of the Council of Europe to Administrative Law: The Development of Pan-European General Principles of Good Administration by the Council of Europe and their Impact on the Administrative Law of its Member States, Discussion Papers, 86, German Research Institute for Public Administration Speyer, 2017, 34 – 43.*

<sup>9</sup> საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, მე-7 პრიმა მუხლი, საკანონმდებლო მაცნე, 33, 09/11/2009.

<sup>10</sup> შეადარე *ყალიჩავა კ.*, საჯარო მმართველობა ადმინისტრაციული მეცნიერების ჭრილში, ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, ტომი IV, *ხუბუა გ., ყალიჩავა კ., (რედ-ები)*, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, თბილისი, 2018, 63-86.

<sup>11</sup> შეადარე *ებერჰარდ ბ.*, საჯარო მმართველობის ცნება, ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, ტომი IV, *ხუბუა გ., ყალიჩავა კ., (რედ-ები)*, თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, თბილისი, 2018, 89-100.

<sup>12</sup> *Stelkens Ul., Andrijauskaitė Ag., Good Administration and the Council of Europe, Law, Principles, and Effectiveness, Stelkens Ul., Andrijauskaitė Ag., (eds.), Oxford University Press, First Edition, 2020, 109-112.*

<sup>13</sup> Charter of Fundamental Rights of the European Union, (2000/C 364/01), Official Journal of the European Communities, 18.12.2000, <[https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text\\_en.pdf](https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf)> [17.08.2023].

თველობის უფლებას, რაც საქართველოს კონსტიტუციით დაცულ სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლებასაც მიემართება.

კვლევის მეთოდოლოგიურ საფუძვლად გამოყენებულია, ზოგადმეცნიერული (ისტორიული), ასევე სპეციალური კვლევის მეთოდები – ნორმატიული, დოგმატური, სისტემური და შედარებით-სამართლებრივი.

## 2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები

როგორც უკვე აღინიშნა, ამ დრომდე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებები სამართლიან ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებით მწირია, რამეთუ უკავშირდება მხოლოდ რამდენიმე სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების ეტაპზე გაკეთებულ შეფასებებს.<sup>14</sup>

მიუხედავად ასეთი სიმწირისა, ეს განმარტებები მაინც მნიშვნელოვანია. სულხან გველესიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქმეზე განჩინებაში,<sup>15</sup> სასამართლო უთითებს, რომ კონსტიტუციით გარანტირებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმის დროულად და სამართლიანად განხილვის უფლება, ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, ქმნის კონსტიტუციური უფლებების ან/და კანონიერი ინტერესების დაცვის პროცესუალურ გარანტიას.<sup>16</sup> ამავე დროს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება არ უკავშირდება მატერიალური უფლებების ფარგლების დადგენას, არამედ მხოლოდ ასეთი უფლებებისა და ინტერესების ეფექტიანად დაცვის შესაძლებლობას იძლევა.<sup>17</sup> ამდენად საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით ამ უფლებაში ჩარევა ხდება მაშინ, როცა რაიმე რეგულაციები ადმინისტრაციულ ორგანოში დროულად და სამართლიან საქმის განხილვასთან დაკავშირებულ პროცედურულ გარანტიებს ზღუდავს.<sup>18</sup> თუმცა, სასამართლოს ამ დრომდე არ უმსჯელია თუ რას ნიშნავს საქმის განხილვის დროულობა ან რა სხვადასხვა ელემენტს მოიცავს სამართლიანი განხილვა. მაგალითად, მოიცავს თუ არა ეს უფლება მტკიცებულებათა უტყუარობის კონსტიტუციურ სტანდარტის დაცვას, რაზეც ირიბად უთითებს ერთ-ერთ განჩინებაში.<sup>19</sup>

<sup>14</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №2/15/1403, საქმეზე სულხან გველესიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2019, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1794&scrollheight=2906.39990234375>> [16.08.2023], საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №1/13/1560, საქმეზე ზაური შერმაზანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2021, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11622&scrollheight=100>> [25.08.2023].

<sup>15</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №2/15/1403, საქმეზე სულხან გველესიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2019, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1794&scrollheight=2906.39990234375>> [16.08.2023].

<sup>16</sup> იქვე.

<sup>17</sup> იქვე.

<sup>18</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №2/15/1403 განჩინება, საქმეზე სულხან გველესიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2019, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1794&scrollheight=2906.39990234375>> [16.08.2023].

<sup>19</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №1/13/1560, საქმეზე ზაური შერმაზანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2021, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11622&scrollheight=3020>> [16.08.2023].

ერთ-ერთ საქმეში<sup>20</sup>, რომელიც ასევე არ იქნა განსახილველად მიღებული, რსაკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამართლიანი პროცესის ცნების უნივერსალური განსაზღვრება და უცვლელი კრიტერიუმები არ არსებობს. ამ შეფასებით პროცესის სამართლიანობა დამოკიდებულია არა იზოლირებულად პროცესის ერთი კონკრეტული ასპექტის ან ელემენტის არსებობა-არარსებობაზე, არამედ, მთლიანობაში, სამართალწარმოების მიმდინარეობაზე. მოცემული დავის ფარგლებში სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გულისხმობს მათ შორის, უფლებას მიუკერძოებელ სამართალწარმოებაზე. სასამართლო მიუთითებს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიუკერძოებლობის მოთხოვნა ვრცელდება არა მხოლოდ მიღებულ გადაწყვეტილებაზე, არამედ იმ პროცესზე, რომლის მეშვეობითაც და რომლის შედეგადაც მიიღება აღნიშნული გადაწყვეტილება. სასამართლოს მითითებით, ხსენებული არსებითად გულისხმობს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ საკუთარი ფუნქციები უნდა განახორციელოს ფავორიტიზმის, საქმის განხილვის მონაწილისადმი წინასწარი მიმხრობის ან განწყობის გარეშე. სასამართლომ ჩათვალა, რომ სპეციალური ცოდნის საჭიროების შემთხვევაში, სამართლიანი განხილვის უფლების დაცვა და წარმოების მიუკერძოებლობა მიღწევადია შესაბამისი სპეციალისტის/ექსპერტის მონვევის გზით, რის საფუძველზეც, შემდგომ ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა მიიღოს მიუკერძოებელი გადაწყვეტილება.<sup>21</sup>

მომავალში სასამართლოს მიერ უფლებრივი სტანდარტის დადგენა და უფლების შინაარსის განსაზღვრა უმნიშვნელოვანესი იქნება და ამას თავად სასამართლოც მიუთითებს და აღნიშნავს, რომ უფლების ფარგლები და მოცულობა განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის კვალდაკვალ.<sup>22</sup> მაგალითად, საკონსტიტუციო სასამართლოში 2021 წლის 25 თებერვალს რეგისტრირებულია სარჩელი<sup>23</sup> – ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირი "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი"-ს დირექტორის წინააღმდეგ, რომელშიც მოსარჩელე სადაოდ ხდის ისეთი საკანონმდებლო მოწესრიგების კონსტიტუციურობას, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას დაადგინოს საკანონმდებლო აქტისაგან განსხვავებული ადმინისტრაციული წარმოების წესები, მაგალითად კონკრეტული წესი – რეგისტრაციაში არ გაატაროს დაინტერესებული პირის განცხადება და არ დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება, თუ ეს განცხადება სრულად არ შეესაბამება ადმინისტრაციული ორგანოს დადგენილ მოთხოვნებს.<sup>24</sup> ამ დრომდე სასამართლოს არ აქვს გადაწყვეტილი ამ საქმის არსებითად განხილვის დაწყება, თუმცა ყველა შემთხვევაში მისი განმარტებები მნიშვნელოვანი იქნება.

<sup>20</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №1/6/1608, საქმეზე მაცაცო ტეფნაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, 2022, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13669&scrollheight=4591.2001953125>> [16.08.2023].

<sup>21</sup> იქვე.

<sup>22</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №2/15/1403 განჩინება, საქმეზე სულხან გველესიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2019, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1794&scrollheight=2906.39990234375>> [16.08.2023].

<sup>23</sup> კონსტიტუციური სარჩელი N1573, ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირი "აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი"-ს დირექტორის წინააღმდეგ, 2021, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10745&scrollheight=200>> [25.08.2023].

<sup>24</sup> იქვე.

### 3. კარგი მმართველობის ევროპული სტანდარტები

#### 3.1. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ განსაზღვრული კარგი მმართველობის პრინციპები

პან-ევროპული ადმინისტრაციული სამართლის სივრცეში გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან განსაკუთრებული ადგილი უკავია კარგი მმართველობის განმსაზღვრელ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს, რომლებსაც რბილი სამართლის ძალა გააჩნია.<sup>25</sup>

წლების განმავლობაში ადმინისტრაციული სამართლის და მმართველობის განხორციელების საკითხები არ წარმოადგენდა ევროპის საბჭოს ინტერესის საგანს და აღნიშნული კატეგორიის დავები არ განიხილებოდა არც სტრასბურგის სასამართლოს მიერ.<sup>26</sup> მხოლოდ 1971 წელს *რინგეისენის* საქმეში სასამართლომ მიუთითა, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლების ქვეშ შესაძლოა განხილულიყო საქმე იმ შემთხვევაშიც, როცა მართალია ქვეყნის შიდა კანონმდებლობა მას მოიაზრებდა, როგორც ადმინისტრაციულ დავას, თუმცა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, ის ხვდებოდა სისხლის ან სამოქალაქო საქმეთა კატეგორიის ქვეშ.<sup>27</sup>

მომდევნო წლებში სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის განვითარებასთან ერთად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა შექმნა დამატებითი დაცვის სტანდარტული პროცედურები. მათზე მუშაობა საბჭოში 70-იანი წლებიდან დაიწყო და ამის საფუძველი გახდა ოთხი ევროპელი მეცნიერის (*პროფ. ლეობენსტიინი (ვენა), ქრისტენსონი (კოპენჰაგენი), ფრომონტ (დიჟონი), ვადე (ოქსფორდი)*) ანგარიში.<sup>28</sup> ისინი აღნიშნავენ, რომ იმ პირობებში, როცა არაერთი საერთაშორისო ინსტრუმენტი იცავდა სისხლის და სამოქალაქო უფლებებს, მსგავსი არ იყო დადგენილი ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით. პროფესორი ვადე ევროპის საბჭოს სამართლიანი ადმინისტრაციული პროცედურების ქარტიის მიღებასაც სთავაზობდა.

1971 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა სპეციალური ქვე-კომიტეტი შექმნა, რომელმაც 17 წევრ ქვეყანაში გამოკითხვა ჩაატარა ადმინისტრაციული სამართლის მთავარი ინსტიტუტების შესახებ წევრ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობის შესასწავლად. აღნიშნული ქვე-კომიტეტის მოსაზრებების გათვალისწინებით, ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული იქნა რიგი რეკომენდაციები სხვადასხვა პროცედურულ საკითხებთან მიმართებით.<sup>29</sup>

პირველად 1977 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა ძალიან მნიშვნელოვანი რეზოლუციის ტექსტი და განსაზღვრა ხუთი მთავარი პრინციპი, რომელთა დაცვა და გათვალისწინება უნდა მომხდარიყო საჯარო მმართველობის განხორციელების

<sup>25</sup> *Stelkens Ul., Andrijauskaitė Ag., Good Administration and the Council of Europe, Law, Principles, and Effectiveness, Stelkens Ul., Andrijauskaitė Ag., (eds), First Edition, Oxford University Press, 2020, 100.*

<sup>26</sup> *Leuprecht M., The Contribution of the Council of Europe to Reinforcing the Position of the Individual in Administrative Proceedings, Roundtable with European Ombudsmen, Strasbourg, 1985, 1-10.*

<sup>27</sup> იქვე.

<sup>28</sup> *Leuprecht M., The Contribution of the Council of Europe to Reinforcing the Position of the Individual in Administrative Proceedings, Roundtable with European Ombudsmen, Strasbourg, 1985, 4-5.*

<sup>29</sup> იქვე, 1-10.

დროს.<sup>30</sup> კერძოდ, დაინტერესებული პირის უფლება ადმინისტრაციული წარმოების დროს წარადგინოს მოსაზრებები, გაეცნოს საქმესთან დაკავშირებულ მასალას, უფლება ყავდეს წარმომადგენელი, მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება და სათანადოდ განემარტოს გასაჩივრების უფლების შესახებ.<sup>31</sup> ეს პრინციპები თანამედროვე ადმინისტრირების ფუნდამენტურ პრინციპებსაც წარმოადგენს.<sup>32</sup>

შემდგომ წლებში, საჯარო მმართველობის საკითხებზე მინისტრთა კომიტეტმა სხვა არაერთი მნიშვნელოვანი რეკომენდაცია დაამტკიცა. 1980 წელს საბჭომ მიიღო რეკომენდაცია N(80) 2 – დისკრეციული უფლებამოსილების თაობაზე.<sup>33</sup> მიუხედავად იმისა, რომ ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები აპელირებდნენ ადმინისტრაციების ფართო უფლებამოსილებაზე, დოკუმენტში მიეთითა, რომ მსგავსი უფლებამოსილება არ უნდა განხორციელდეს მიკერძოებულად, ასევე უფლებამოსილების ფარგლების დარღვევით. დისკრეციულ უფლებამოსილებაში რეკომენდაციით მოიაზრებოდა შემდეგი ელემენტები: ა) მიზანი, რისთვისაც მას ენიჭება ეს უფლებამოსილება; ბ) მიუკერძოებლობა და ობიექტურობა; გ) კანონის წინაშე თანასწორობა; დ) დასაბუთებულობა და პროპორციულობა.<sup>34</sup>

1981 წელს მინისტრთა კომიტეტმა დაამტკიცა რეკომენდაცია საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რომელმაც გაითვალისწინა ყველა ის ძირითადი საკითხი, რაც საჯარო ინფორმაციის წვდომაზე თანამედროვე რეგულირებაში აისახება.<sup>35</sup>

მნიშვნელოვანია ასევე ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2004 წლის 2004(20) რეკომენდაცია – ადმინისტრაციული აქტების სასამართლოს კონტროლის თაობაზე.<sup>36</sup>

მინისტრთა კომიტეტს მიერ დამტკიცებული სხვა რეკომენდაციებიც საჯარო მმართველობის მნიშვნელოვან პრინციპებს ადგენს, რაც ასევე ადამიანის უფლებების დაცვას ემსახურება.<sup>37</sup> ევროპის საბჭოს 2007 წლის რეკომენდაციით დამტკიცდა კარგი მმართველობის კო-

<sup>30</sup> Council of Europe, Committee of Ministers, Final Activity Report, Submitted to the Committee of Ministers, Strasbourg, 1977, 12-19, <<https://rm.coe.int/native/090000168051651e>> [17.08.2023].

<sup>31</sup> Resolution (77) 31, On the Protection of the Individual in Relation to the Acts of Administrative Authorities, Council of Europe, Committee of Ministers, 1977, <<https://rm.coe.int/09000016804dec56>> [15.10.2020].

<sup>32</sup> გვარამაძე თ., ომბუდსმენის ინსტიტუტი – როგორც გასაჩივრების ალტერნატიული მექანიზმი საჯარო მმართველობის სფეროში, სამართლის ჟურნალი, ბურდული ირ. (რედ.), N2, 2020, 147, <<https://law.tsu.ge/index.php/JLaw/issue/view/607/109>> [17.08.2023].

<sup>33</sup> Recommendation No. R (80) 2, Concerning the Exercise of the Discretionary Powers By Administrative Authorities, Council of Europe, Committee of Ministers, 1980, <<https://rm.coe.int/cmrec-80-2-concerning-the-exercise-of-discretionary-powers-by-administ/1680a43b39>> [17.08.2023].

<sup>34</sup> Recommendation No. R (80) 2, Concerning the Exercise of the Discretionary Powers By Administrative Authorities, Council of Europe, Committee of Ministers, 1980, <<https://rm.coe.int/cmrec-80-2-concerning-the-exercise-of-discretionary-powers-by-administ/1680a43b39>> [17.08.2023].

<sup>35</sup> Recommendation No. R (81) 19, on the Access to Information Held by Public Authorities, Council of Europe, Committee of Ministers, 1981, <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016804f7a6e>> [17.08.2023].

<sup>36</sup> Recommendation No Rec (2004) 20, On Judicial Review of Administrative Acts, Council of Europe, Committee of Ministers, 2004, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805db3f4#globalcontainer](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805db3f4#globalcontainer)> [25.08.2023].

<sup>37</sup> მაგალითად, Recommendation No R (97) 7, on Local Public Services and the Rights of their Users, Council of Europe, Committee of Ministers, 97, <<https://rm.coe.int/cmrec-97-7-on-local-public-services-and-rights-of-their-users/1680a43b65>> [17.08.2023]. Recommendation No. R (2000) 10, on Codes of Conduct for Public Officials, Council of Europe, Committee of Ministers, 2000, <<https://rm.coe.int/16805e2e52>> [17.08.2023].

დექსი (2007) 7.<sup>38</sup> რეკომენდაციაში მითითებულია ის პრინციპები, რომელსაც ეფუძნება ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა. კერძოდ, კანონიერების, თანასწორობის, მიუკერძოებლობის და პროპორციულობის პრინციპები, ასევე ნორმათა სიცხადის და განჭვრეტადობის პრინციპი. რეკომენდაცია, განსაზღვრავს გონივრულ ვადებში გადაწყვეტილებათა მიღების პრინციპს, ასევე გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში პირთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რეკომენდაცია ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებაში მოიაზრებს, როგორც ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს, ასევე ნორმატიული ხასიათის აქტებს. ამასთან, ასეთი გადაწყვეტილებები რეკომენდაციის თანახმად, შესაძლებელია მიღებული იყოს საჯარო დაწესებულებების ინიციატივით ან პირთა მოთხოვნის საფუძველზე. წარმოების წესებიდან რეკომენდაციაში მოცემულია ასევე მითითება აქტში მისი გასაჩივრების წესის მითითების საჭიროებაზე, აგრეთვე სხვა დაწესებულებაში განცხადების გადაგზავნის აუცილებლობაზე, იმ შემთხვევაში თუ ეს აქტი ამ ორგანოს განსჯადი არ არის. იმ შემთხვევაში როცა ადმინისტრაციული ორგანო აპირებს შემზღვევლი გადაწყვეტილების მიღებას, დაინტერესებულ პირს უნდა მისცეს საშუალება დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით თავისი მოსაზრებები წარადგინოს ორგანოში. განსაზღვრულია გადაწყვეტილებათა დასაბუთებულობის სავალდებულობა და ასევე, ამ გადაწყვეტილებათა გაცნობის წესები. რეკომენდაცია ასევე ეხება, აქტების თავად ორგანოების მიერ აღსრულების საკითხს, და მათი გაუქმების შესაძლებლობას და გასაჩივრების მექანიზმებს, მათ შორის ერთჯერადად ადმინისტრაციული საჩივრის გათვალისწინებითაც.<sup>39</sup>

მეცნიერთა შეფასებით, ევროპის საბჭოს რეკომენდაციები მნიშვნელოვანი წყაროა სტრასბურგის სასამართლოსთვისაც, განსაკუთრებით 2000-იანი წლების შემდეგ, როცა სასამართლო კონვენციით დაცულ უფლებების განმარტებებისას მნიშვნელოვნად ეყრდნობა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს და ისე ავითარებს საკუთარ პრაქტიკას.<sup>40</sup>

### 3.2. სტრასბურგის სასამართლო პრაქტიკა

#### 3.2.1. რატომაა სასამართლოს პრაქტიკა მნიშვნელოვანი

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია წარმოადგენს ერთგვარ კონსტიტუციურ დოკუმენტს ევროპის საბჭოსთვის, რომლის რატიფიცირება და შესრულება სახელმწიფოებისთვის საბჭოში წევრობის ფაქტობრივი წინაპირობაა.<sup>41</sup> პროფესორ ულრიხ შტელქენსის შეფასებით, თავად სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან იკითხება, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ქვეყნის კანონმდებლობა კონვენციის შესაბამისად უნდა განმარტონ.<sup>42</sup>

Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe CM/Rec(2014)7 on the protection of whistle-blowers <<https://rm.coe.int/16807096c7>> [17.08.2023].

<sup>38</sup> Recommendation CM/Rec(2007)7, on Good Administration, Council of Europe, Committee of Ministers, 2007, <<https://rm.coe.int/cmrec-2007-7-of-the-cm-to-ms-on-good-administration/16809f007c>> [17.08.2023].

<sup>39</sup> Recommendation CM/Rec(2007)7, on Good Administration, Council of Europe, Committee of Ministers, 2007, <<https://rm.coe.int/cmrec-2007-7-of-the-cm-to-ms-on-good-administration/16809f007c>> [17.08.2023].

<sup>40</sup> *Stelkens Ul., Andrijauskaitė Ag., Good Administration and the Council of Europe, Law, Principles, and Effectiveness, Stelkens Ul., Andrijauskaitė Ag., (eds), First Edition, Oxford University Press, 2020, 101-102.*

<sup>41</sup> იქვე, 124.

<sup>42</sup> იქვე, 125.

ქართული სამართლებრივი კონტექსტის შემთხვევაში საგულისხმოა, რომ 2022 წელს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში, რაც ხელს შეუწყობს სტრასბურგის სასამართლო გადაწყვეტილებების აქტიურ გამოყენებას ეროვნულ დონეზე, რაც დამატებითი შესაძლებლობაა ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ადამიანის უფლებების დაცვის საუკეთესო თანამედროვე სტანდარტებთან დასაახლოებლად.<sup>43</sup>

ამდენად, სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების – როგორც ძირითადი უფლების – შინაარსის დასადგენად, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, სამომავლოდ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა. განსაკუთრებით კი საჯარო მმართველობის განმხორციელებელი სხვადასხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

### 3.2.2. როგორ ვითარდებოდა სტრასბურგის სასამართლოს Case-Law და როგორია თანამედროვე სტანდარტები

პროფესორ შტელქენსის მოსაზრებით, სტრასბურგის სასამართლო უკვე წლებია საჯარო მმართველობასთან დაკავშირებულ დავებს განიხილავდა, თუმცა სასამართლო კარგი მმართველობის, როგორც კონვენციური უფლების აღიარებას დიდი ხნის განმავლობაში თავს არიდებდა. უფრო მეტიც, მეცნიერის შეფასებით, მიუხედავად პროცედურული მსგავსებისა, ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით დაცული სამართლიანი სასამართლოს უფლების ქვეშ მხოლოდ სასამართლოში პროცედურული გარანტიები მოიაზრებდა და არა ადმინისტრაციულ ორგანოებში მიმდინარე განხილვები.<sup>44</sup> მაგალითად საგადასახადო ადმინისტრირების, როგორც მმართველობის ერთ-ერთი დარგთან დაკავშირებული დავები, დიდი ხნის განმავლობაში სასამართლოს მიერ პირდაპირ იყო გამორიცხული კონვენციური კონტროლიდან.<sup>45</sup>

თუმცა ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა მას შემდეგ რაც სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ გამოიტანა გადაწყვეტილება 2000 წელს *ბაიელერი იტალიის წინააღმდეგ*, რომელშიც მეცნიერთა შეფასებით, სტრასბურგის სასამართლომ პირველად განსაზღვრა ის მოთხოვნები და პრინციპები, რომელთა დაცვით უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები ადმინისტრაციულმა ორგანოებმა. კერძოდ, გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს გონივრულ ვადებში, შესაბამისი პროცედურების და თანამიმდევრული წესების (დამკვიდრებული პრაქტიკის) გათვალისწინებით.<sup>46</sup>

*მოსკალი პოლონეთის წინააღმდეგ* საქმეში სასამართლომ პირველად გამოიყენა ტერმინი „კარგი მმართველობა“ და მიუთითა, რომ საჯარო მმართველობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას მასში მოიაზრა ზუსტად ეს საკითხები, რომ ადმინისტრაციულმა ორგანოებმა

<sup>43</sup> განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/304307>> [16.04.2023].

<sup>44</sup> *Stelkens Ul., Andrijauskaitė Ag., Good Administration and the Council of Europe, Law, Principles, and Effectiveness, Stelkens Ul., Andrijauskaitė Ag., (eds), First Edition, Oxford University Press, 2020, 126.*

<sup>45</sup> *Fortsakis Th. P., The Role of Individual Rights in the Europeanization of Tax Law, Book Title: Human Rights and Taxation in Europe and the World, Koffer/Poiaras Maduro/Pistone (eds.), Amsterdam, 2011, 96.*

<sup>46</sup> *Stelkens Ul., Andrijauskaitė Ag., Good Administration and the Council of Europe, Law, Principles, and Effectiveness, Stelkens Ul., Andrijauskaitė Ag., (eds), First Edition, Oxford University Press, 2020, 126.*

ნომ საკითხი უნდა გადაწყვიტოს გონივრულ ვადაში (დროულად), შესაბამისი გზით და თანმიმდევრულად.<sup>47</sup>

პროფესორ შტელქენსის შეფასებით კარგი მმართველობის სახელწოდებით მოხსენიებული პრინციპი, ერთგვარი ჩარჩოა, რომლის დაცვა მნიშვნელოვანია.<sup>48</sup>

იგივე სამ პრინციპს სასამართლო შემდგომ წლებში მიღებულ გადაწყვეტილებებშიც უთითებს და პრაქტიკის განვითარებასთან ერთად ჩნდება ახალი განმარტებები, რაც ასევე კარგი მმართველობის პრინციპის შინაარსს და სტანდარტს ქმნის. მაგალითად საქმეზე *ბერჟინსი და სხვები ლატვიის წინააღმდეგ*<sup>49</sup> მითითებულია, რომ კონვენცია უპირატესად იცავს პრაქტიკულ და ეფექტურ უფლებებს, რაც უნდა გამოიხატებოდეს იმაშიც, რომ ეროვნული სასამართლო საქმის მიღმა არსებულ გარემოებებსაც უნდა აფასებდეს, მათ შორის იხილავდეს არა მხოლოდ კომპენსაციის პროპორციულობის საკითხს, როცა შემთხვევა საკუთრებას ეხება, არამედ იმ მოქმედებებს, პროცესს და საშუალებებს, რომელსაც იყენებენ ადმინისტრაციული ორგანოები. ამ კონტექსტში მაგალითად სასამართლო ხაზს უსვამს ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებების განჭვრეტადობას, მიუხედავად იმისა გამომდინარეობს ეს ნორმატიული რეგულირებიდან თუ პრაქტიკიდან. სტრასბურგის სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ მაშინ როცა სახეზეა საჯარო ინტერესი, ადმინისტრაციული ორგანოები გონივრულ ვადებში შესაბამისი წესების დაცვით უნდა მოქმედებდნენ რაც კარგ მმართველობას შეესაბამება.<sup>50</sup> ამ საქმის განხილვამდე სტრასბურგის სასამართლოს დიდ პლატას აქვს იგივე განმარტება გაკეთებული 2004 წელს *ბრონიოუსკი პოლონეთის წინააღმდეგ* საქმეში.<sup>51</sup> ამ საქმეში სტრასბურგის სასამართლო საჯარო ინტერესთან დაკავშირებით მიუთითებს რომ, ამ ცნების განმარტებისას ადმინისტრაციული ორგანოების დისკრეცია საკმაოდ ფართოა და რაც განპირობებულია პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ფაქტორებით, კონვენციური კონტროლი კი ამ შემთხვევაში ვლინდება იმის შეფასებაში რამდენად არის დასაბუთებული და არგუმენტირებული ასეთ დროს მიღებული გადაწყვეტილებები.<sup>52</sup>

*ბერჟინსი და სხვები ლატვიის წინააღმდეგ*<sup>53</sup> საქმეში სტრასბურგის სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ კერძო და საჯარო ინტერესების ურთიერთგანონისნორების მოთხოვნა არ სრულდება თუ კერძო პირს არაპროპორციული და გადაჭარბებული ტვირთი ეკისრება.<sup>54</sup> თუმცა აქვე დასძენს, რომ საჯარო მმართველობის დარგებთან დაკავშირებული სხვა საქმეების მსგავსად, რომელშიც საჯარო მმართველობას მიკუთვნებული თემები განიხილება, გარემოს დაგეგმარებას მიკუთვნებული საკითხების მიმართ განსაკუთრებით მაღალია საჯარო ინტერესი და სახელმწიფოს ენიჭება მოქმედების მეტი თავისუფლება და ფართო დისკრეცია

<sup>47</sup> Moskal v. Poland, (Application no. 10373/05), [2010], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/GEO?i=001-94009>> [20.08.2023].

<sup>48</sup> *Stelkens Ul., Andrijauskaitė Ag., Good Administration and the Council of Europe, Law, Principles, and Effectiveness, Stelkens Ul., Andrijauskaitė Ag., (eds), First Edition, Oxford University Press, 2020, 126.*

<sup>49</sup> Berzins and Others v. Latvia, (Application no. 73105/12), [2021], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-212012>> [18.08.2023].

<sup>50</sup> Berzins and Others v. Latvia, (Application no. 73105/12), [2021], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-212012>> [18.08.2023].

<sup>51</sup> Broniowski v. Poland (Application no. 31443/96), [2004], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-61828>> [19.09.2023].

<sup>52</sup> იქვე.

<sup>53</sup> Berzins and Others v. Latvia, (Application no. 73105/12), [2021], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-212012>> [18.08.2023].

<sup>54</sup> იქვე.

ვიდრე საქმეებში სადაც მხოლოდ სამოქალაქო უფლებებია.<sup>55</sup> სასამართლო ასევე მიუთითებს, რამდენად იყო განმცხადებელი წინასწარ ინფორმირებული, დადგენილი შეზღუდვების, რეგულირების თუ საკუთრებით სარგებლობის წესების თაობაზე, იცოდა თუ არა ზუსტად წარმოშობილი კანონიერი ნდობის ფარგლები და ასევე თუ იყო ინფორმირებული გასაჩივრების შესაძლებლობის შესახებ.<sup>56</sup> საინტერესოა, რომ მთავარი არგუმენტი სასამართლოს მიერ ამ საქმეში საკუთრების უფლების დარღვევის დადგენისთვის გახდა დაახლოებით ათი წლის განმავლობაში ადმინისტრაციული ორგანოების უმოქმედობა, რომლებმაც მათ შორის საკუთარი დისკრეციის ფარგლებში არ განახორციელეს არც ერთი შესაძლო ღონისძიება საკითხის დროულად და ეფექტურად მოგვარებისათვის.<sup>57</sup>

ჩაკარევიჩი ხორვატიის წინააღმდეგ საქმეში სტრასბურგის სასამართლო კარგი მმართველობის კიდევ ერთ ელემენტს განსაზღვრავს და ყურადღებას ამახვილებს ისეთ შემთხვევაზე, როცა პირს წარმოეშობა კანონიერ ნდობა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ შეცდომით მიღებული უკანონო გადაწყვეტილების მიმართ და შემდგომში ამ შეცდომის ტვირთს, მათ შორის ფინანსური ტვირთის გადატანას დაინტერესებულ პირზე ახდენენ. აღნიშნული კი უფლებაში არაპროპორციულ ჩარევად მიაჩნია სასამართლოს.<sup>58</sup>

კარგი მმართველობის შინაარსში სტრასბურგის სასამართლო მოიაზრებს ასევე სამართლებრივი სიცხადის პრინციპის დაცვას, რაც თავის მხრივ კანონის უზენაესობის ერთ-ერთ ფუნდამენტური ასპექტიცაა.<sup>59</sup> სასამართლო თვლის, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან შესაბამისი ღონისძიებების გატარებაა საჭირო, რათა შემდგომში დაინტერესებული პირების მიმართ დაკისრებული ვალდებულებები არაპროპორციულ ტვირთად არ იქცეს.<sup>60</sup>

რისოვსკი უკრაინის წინააღმდეგ საქმეში სტრასბურგის სასამართლო კარგი მმართველობის პრინციპად მოიაზრებს ადმინისტრაციული ორგანოების ვალდებულებას განერონ ძალიან ცხადი და გამჭვირვალე პროცედურები, რაც მათ საქმიანობას პროგნოზირებადს ხდის და ასევე ამცირებს შეცდომებს და ხელს უწყობს სამოქალაქო ტრანზაქციების სამართლებრივ დასაბუთებულობას, რომლებიც გავლენას ახდენენ ქონებრივ ინტერესებზე.<sup>61</sup> ამავე საქმეში საუბარია პრინციპზე, რომელიც ერთის მხრივ არ გამოორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას, თუმცა ამან არ უნდა გამოიწვიოს უფლებაში არაპროპორციულად ჩარევა და ადმინისტრაციულ ორგანოებს არ უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, მიიღონ სარგებელი თავიანთი შეცდომებისგან ან გაექცნენ პასუხისმგებლობას. როგორც სტრასბურგის სასამართლო სხვა საქმეებშიც მიუთითებს, საკუთრებასთან დაკავშირებული აღმჭურველი აქტის ბათილობა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკუთარი ინიციატივით, დღის წესრიგში აყენებს დაინტერესებული პირებისათვის ასევე ადეკვატური

<sup>55</sup> იქვე.

<sup>56</sup> იქვე.

<sup>57</sup> იქვე.

<sup>58</sup> Čakarevic v. Croatia (Application no. 48921/13), [2018], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-182445>> [19.08.2023].

<sup>59</sup> Nejdet Şahin adn Perihan Şahin v. Turkey (Application no.13279/05), [2011], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-114761>> [25.08.2023].

<sup>60</sup> Zolotas v. Greece, (Application no. 66610/09), [2013], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-116441>> Romeva v. North Macedonia (Application no. 32141/10), [2020], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-198885>> [25.08.2023].

<sup>61</sup> Rysovskyy v. Ukraine, (Application no. 29979/04), [2012], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/GEO?i=001-107088>> [20.08.2023].

კომპენსაციის გადახდას ან სხვა ფორმით შესაბამისი ზიანის ანაზღაურებას.<sup>62</sup> ამავე საქმეში სტრასბურგის სასამართლოს პრობლემურად მიაჩნია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ აღმჭურველი აქტის ბათილობა მისი მიღების მომენტიდან, იმ შემთხვევაში როცა კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საკმარის გარანტიებს საჯარო მოხელეების მხრიდან უფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. ასევე როცა მოხელეს ასეთი უფლებამოსილება ენიჭება კონკრეტული საფუძვლების გარეშე ნებისმიერ დროს და იმ პირის მონაწილეობის გარეშე, რომელზეც გავლენას ახდენს ეს აქტი. აგრეთვე უთითებს რომ პრობლემაა, ისიც რომ მოხელის უფლებამოსილება გადახედოს თავის გადაწყვეტილებებს, მათ შორის, შეცდომის აღმოჩენის შემდეგ, არ არის შეზღუდული დროში, რაც მნიშვნელოვნად ურყევს საფუძველს სამართლებრივ განსაზღვრულობას.<sup>63</sup>

რისოვსკი უკრაინის წინააღმდეგ საქმე საინტერესოა იმ მხრივაც, რომ სასამართლო აკრიტიკებს საჯარო მოხელეთა არათანმიმდევრულ, არაკოორდინირებულ და წინააღმდეგობრივ მოქმედებებს და გადაწყვეტილებებს. სასამართლო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია: „საბოლოოდ, არათანმიმდევრულმა და არაკოორდინირებულმა ფორმამ, რომლითაც მოხელეები მიუდგნენ განმცხადებლის საქმეს, წარმოქმნა განგრძობადი გაურკვეველობა მინის ნაკვეთზე უფლებასთან დაკავშირებით, რაც გრძელდება 1992 წლიდან, რაც დაახლოებით 20 წელია...“<sup>64</sup> სასამართლო ასევე უთითებს, რომ ნებისმიერი ფინანსური გავლენის მიუხედავად, იმედგაცრუება, რაც ბუნებრივად შეიძლებოდა გამოეწვია ასეთ ხანგრძლივად გაურკვეველ სიტუაციას, თავისთავად წარმოადგენს არაპროპორციულად ძვირად ტვირთს, რომელიც, შემდეგში კიდევ დამძიმდება რაიმე სახის ანაზღაურების გადაუხდელობით.<sup>65</sup>

ბეინაროვიჩი და სხვები ლიეტუვას წინააღმდეგ საქმეში მსგავსად წინა საქმისა, სასამართლომ ადმინისტრაციული სამართლის ორი მნიშვნელოვანი პრინციპი, კანონიერების და კანონიერი ნდობის პრინციპის ურთიერთდაპირისპირების შემთხვევა შეაფასა და მიუთითა, რომ კარგი მმართველობა თავის თავში არ გამოირიცხვას და პირიქით მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მცდარი და უკანონო გადაწყვეტილებების გამოსწორების ინტერესს, თუმცა უკანონობის გამოსწორება არ უნდა ხდებოდეს კეთილსინდისიერი დაინტერესებული პირების ხარჯზე და მათთვის პასუხისმგებლობის დაკისრებით.<sup>66</sup> იგივე განმარტება სტრასბურგის სასამართლომ გააკეთა საქმეზე იბრაჰიმბეიოვ და სხვები აზერბაიჯანის წინააღმდეგ და მიუთითა, რომ კარგი მმართველობა მოითხოვს ადმინისტრაციულმა ორგანოებმა საკუთარი შეცდომების გამოსწორების ტვირთი არ გადაიტანონ დაინტერესებულ პირებზე. კარგი მმართველობა მოიაზრებს ამ შემთხვევაში კეთილსინდისიერი დაინტერესებული პირებისათვის ზიანის ანაზღაურების – ან სხვა სახით კომპენსაციაზე ხელმისაწვდომობასაც.<sup>67</sup> სასამართლოს სხვა არაერთ საქმეში აქვს მსგავსი განმარტება გაკეთებული.<sup>68</sup>

<sup>62</sup> იქვე.

<sup>63</sup> იქვე.

<sup>64</sup> Rysovskyy v. Ukraine, (Application no. 29979/04), [2012], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/GEO?i=001-107088>> [20.08.2023].

<sup>65</sup> იქვე.

<sup>66</sup> Beinarovic and Others v. Lithuania, (Applications nos. 70520/10, 21920/10 and 41876/11), [2018], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-183540>> [19.08.2023].

<sup>67</sup> Ibrahimbeyov and Others v. Azerbaijan, (Application no. 32380/13), [2023], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-223021>> [25.08.2023].

<sup>68</sup> Tumeliai v. Lithuania, (Application no. 25545/14), [2018], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-179885>> Paleviciute and Dzidzeviviene v. Lithuania, (Application no. 32997/14), [2018], <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-179825>> [25.08.2023].

ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ კანონიერი ნდობის საკითხი აქვს სასამართლოს ასევე განხილული საქმეში *ლელასი ხორვატიის წინააღმდეგ*, რომელშიც განმარტავს, რომ როცა დაინტერესებული პირი იქცევა კეთილსინდისიერად მას აქვს საჯარო მოხელეთა მოქმედებების და გადაწყვეტილებების კანონიერების მოლოდინი, რომ ეს მოხელეები იქცევიან დადგენილი წესების და მოთხოვნების შესაბამისად. ცხადია იმ გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როცა პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა რომ მოხელეებს არ გააჩნდათ მსგავსი გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება. დაინტერესებული პირების მოვალეობა არ უნდა იყოს იმის გადამოწმება იცავენ თუ არა მოხელეები შიდა წესებს, რაც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი. სტრასბურგის მითითებით დადგენილი წესების დაუცველობის ნეგატიური შედეგების ტვირთი არ უნდა დაეკისროს დაინტერესებულ პირებს.<sup>69</sup>

კარგი მმართველობის პრინციპები სტრასბურგის სასამართლოს უმეტესწილად საკუთრების უფლების რეალიზაციასთან დაკავშირებულ საქმეებში აქვს ნახსენები, თუმცა არამხოლოდ. მაგალითად *დადოუჩი მალტის წინააღმდეგ საქმე* ეხება საზღვარგარეთ რეგისტრირებული ქორწინების აღიარებას და რეგისტრაციას მალტაში. სახელმწიფო მარეგისტრირებული ორგანოს ნეგატიურ გადაწყვეტილებას სტრასბურგის სასამართლო კონვენციის მე-8 მუხლის პრიზმიდან აფასებს და ადმინისტრაციული ორგანოების მოქმედებების შეფასებისას მიუთითებს კონვენციით დაცულ უფლებაში ჩარევაზე შემდეგი საფუძვლებით: როცა დაწესებული მოთხოვნები არ არის ცხადი, გასაგები და განჭვრეტადი, რაც ადმინისტრაციულ ორგანოებს თვითნებობის შესაძლებლობას აძლევს. სასამართლო აკრიტიკებს ორგანოს, რომელსაც შეეძლო გადაემოწმებინა მოქალაქეობრივი კუთვნილების თაობაზე მონაცემი და არ გადაემისამართებინა დაინტერესებული პირი სხვა უწყებაში, რომელმაც თავის მხრივ უარი განაცხადა ინფორმაციის გაცემაზე.<sup>70</sup>

გამოხატვის თავისუფლების ქრილში იქნა განხილული საქმე *ლომბარდი ვალაური იტალიის წინააღმდეგ*, რომელშიც სასამართლომ ჩათვალა, რომ უნივერსიტეტის შესაბამის საბჭოს მიერ ადმინისტრაციული წესების საფუძველზე, ლექტორის გათავისუფლება დაკავებული პოზიციიდან განსხვავებული შეხედულებების გამო რაც მათ კათოლიკურ სწავლებას ეწინააღმდეგებოდა, მისი მოსმენის, გარემოებათა გამოკვლევის თუ დასაბუთების გარეშე იყო ევროპული კონვენციით დაცული უფლების დარღვევა.<sup>71</sup>

#### 4. დასკვნა

2017 წლის კონსტიტუციურმა ცვლილებებმა სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების, როგორც ადამიანის ძირითადი უფლების კონსტიტუციური აღიარება უზრუნველყო. წარმოდგენილ კვლევაში კი მოკლედ იქნა მიმოხილული საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ამ უფლების შინაარსის განმარტებისათვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტები.

<sup>69</sup> *Lelas v. Croatia*, (Application no. 55555/08), [2010], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-98827>> [25.08.2023].

<sup>70</sup> *Case of Dadouch v. Malta*, (Application no. 38816/07), [2010], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/GEO?i=001-99883>> [25.08.2023].

<sup>71</sup> *Lombardi Vallauri v. Italy*, (Application no. 39128/05), [2010], ECHR, <<https://hudoc.echr.coe.int/GEO?i=001-95150>> [23.08.2023].

ცხადია უფლების კონსტიტუციური სტანდარტის ჩამოყალიბება არ არის ერთჯერადი პროცესი და სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების შინაარსის განმარტება ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკის განვითარებასთან ერთად გაგრძელდება. თუმცა ამ ეტაპზე მსგავსი განხილვა და კვლევა ერთის მხრივ ხელს შეუწყობს საჯარო მმართველობის განხორციელების პროცესში ადამიანის უფლებების დაცვას და მეორეს მხრივ აკადემიურ წრეებში შემდგომი კვლევის და შესწავლის საჭიროებასაც თვალსაჩინოს ხდის.

სტატიაში განხილული სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების და ევროპის საბჭოს მიერ დადგენილი სტანდარტების გათვალისწინებით, დასკვნის სახით შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე საკითხი, რომელთა გათვალისწინებით უნდა განიმარტოს კარგი მმართველობის თუ სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლების შინაარსი. კერძოდ,

– ადმინისტრაციული პროცედურები უნდა იყოს განერილი მკაფიოდ და არაორაზროვნად, რათა შეამციროს ერთის მხრივ მოხელეთა მიერ შეცდომის დაშვება, ასევე დაინტერესებულმა პირებმა შეძლონ ამ წესების ზუსტად გაგება;

– საჯარო მმართველობის პროცესში გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს გონივრულ ვადაში, პერიოდი არ უნდა იყოს ხელოვნურად გახანგრძლივებული და არ უნდა ტოვებდეს დაინტერესებულ პირებს გაურკვევლობაში დიდი ხნის განმავლობაში;

– გადაწყვეტილებები უნდა მიიღებოდეს ყველა გარემოების და ფაქტის სათანადო გამოკვლევის შემდეგ და უნდა იყოს დასაბუთებული, მათ შორის გამყარებული სამართლებრივი არგუმენტებით;

– დაინტერესებულ პირებს უნდა მიეცეს შესაძლებლობა თავად წარადგინონ მოსაზრებები, პოზიციები და მტკიცებულებები; ასეთი გარანტიები უნდა იყოს რეალურად განხორციელებადი და არა მოჩვენებითი;

– კერძო და საჯარო ინტერესების არსებობისას მათი ურთიერთანაფარდობის და განონანსწორების დადგენა უნდა ხდებოდეს შესაბამისად;

– ადმინისტრაციულმა ორგანოებმა საკუთარი შეცდომის და უკანონო მოქმედებების ნეგატიური შედეგები არ უნდა დააკისრონ კეთილსინდისიერ პირებს, რომელებსაც აქვთ სრულიად ლეგიტიმურად კანონიერი ნდობა ადმინისტრაციულების მიერ განხორციელებული მოქმედებების მიმართ.

სტატია არ მიმოიხილავს სტრასბურგის სასამართლოს ყველა გადაწყვეტილებას ან ევროპის საბჭოს მიერ დამტკიცებულ ყველა რეკომენდაციას, თუმცა ეს მცირე ჩამონათვალიც საკმარისია იმისთვის, რათა ცხადი გახდეს სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების შინაარსის დასადგენად თუ რამდენად მნიშვნელოვანია ამ საკითხების გააზრება და გათვალისწინება საქართველოში საუკეთესო სტანდარტების შესაბამისად ეფექტიანი საჯარო მმართველობის განსახორციელებლად.

### ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებები, 31-33, 24/08/1995.
2. საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 32(39), 15/07/1999.
3. საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“, საკანონმდებლო მაცნე, 33, 09/11/2009.

4. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, <[https://info.parliament.ge/file/1/BillReview\\_Content/304307](https://info.parliament.ge/file/1/BillReview_Content/304307)> [16.04.2023].
5. გვარამაძე თ., ომბუდსმენის ინსტიტუტი – როგორც გასაჩივრების ალტერნატიული მექანიზმი საჯარო მმართველობის სფეროში, სამართლის ჟურნალი, ბურდული ირ. (რედ.), №2, 2020, 147, <<https://jlaw.tsu.ge/index.php/JLaw/issue/view/607/109>> [17.08.2023].
6. ებერჰარდ ბ., საჯარო მმართველობის ცნება, ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, ტომი IV, ხუბუა გ., ყალჩავა კ., (რედ-ები), თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, თბილისი, 2018, 89-100.
7. კუბლაშვილი კ., საქართველოს კონსტიტუციის ახალი რედაქციის ხარვეზები და გამოწვევები, კრებულში: საკონსტიტუციო სამართლის მიმოხილვა, ვარძელაშვილი კ. (რედ.), №14, თბილისი, 2020, 85-86, <<https://ewmi-ruleoflawgeo.org/uploads/files/597114fpGEO.pdf.pdf>> [14.08.2023].
8. ტურავა პ., სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოება როგორც ძირითადი კონსტიტუციური უფლება და მისი ინსტიტუციური გარანტია, სტატიათა კრებულში: ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, კორკელია კ. (რედ.), თბილისი, 2018, 248, <<https://library.iliauni.edu.ge/wp-content/uploads/2021/06/42.-adamianis-uphleatha-datsva-kanonmdebloba-da-praqtika-statiatha-krebuli.pdf>> [14.08.2023].
9. ყალიჩავა კ., საჯარო მმართველობა ადმინისტრაციული მეცნიერების ჭრილში, ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, ტომი IV, ხუბუა გ., ყალჩავა კ., (რედ-ები), თსუ ადმინისტრაციულ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამოცემები, თბილისი, 2018, 63-86.
10. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №1/6/1608, საქმეზე მაცაცო ტეფნაძე საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ, 2022, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=13669&scrollheight=4591.2001953125>> [16.08.2023].
11. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №1/13/1560, საქმეზე ზაური შერმაზანაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2021, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=11622&scrollheight=100>> [25.08.2023].
12. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განჩინება №2/15/1403, საქმეზე სულხან გველე-სიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2019, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=1794&scrollheight=2906.39990234375>> [16.08.2023].
13. კონსტიტუციური სარჩელი №1573, ლევან ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის და საჯარო სამართლის იურიდიული პირი „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი“-ს დირექტორის წინააღმდეგ, 2021, <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=10745&scrollheight=200>> [25.08.2023].
14. Resolution (77) 31, On the Protection of the Individual in Relation to the Acts of Administrative Authorities, Council of Europe, Committee of Ministers, 28.09. 1977, <<https://rm.coe.int/09000016804dec56>> [15.10.2020].
15. Recommendation No. R (80) 2, Concerning the Exercise of the Discretionary Powers By Administrative Authorities, Council of Europe, Committee of Ministers, 11.03. 1980, <<https://rm.coe.int/cmrec-80-2-concerning-the-exercise-of-discretionary-powers-by-administ/1680a43b39>> [17.08.2023].
16. Recommendation No. R (81) 19, on the Access to Information Held by Public Authorities, Council of Europe, Committee of Ministers, 25.11. 1981, <<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016804f7a6e>> [17.08.2023].

17. Recommendation No R (97) 7, on Local Public Services and the Rights of their Users, Council of Europe, Committee of Ministers, 01.04.1997, <<https://rm.coe.int/cmrec-97-7-on-local-public-services-and-rights-of-their-users/1680a43b65>> [17.08.2023].
18. Recommendation No. R (2000) 10, on Codes of Conduct for Public Officials, Council of Europe, Committee of Ministers, 11.05.2000, <<https://rm.coe.int/16805e2e52>> [17.08.2023]. Charter of Fundamental Rights of the European Union, (2000/C 364/01), Official Journal of the European Communities, 18.12.2000, <[https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text\\_en.pdf](https://www.europarl.europa.eu/charter/pdf/text_en.pdf)> [17.08.2023].
19. Recommendation No Rec (2004) 20, On Judicial Review of Administrative Acts, Council of Europe, Committee of Ministers, 15.12.2004, <[https://search.coe.int/cm/Pages/result\\_details.aspx?ObjectID=09000016805db3f4#globalcontainer](https://search.coe.int/cm/Pages/result_details.aspx?ObjectID=09000016805db3f4#globalcontainer)> [25.08.2023].
20. Recommendation CM/Rec(2007)7, on Good Administration, Council of Europe, Committee of Ministers, 20.06.2007, <<https://rm.coe.int/cmrec-2007-7-of-the-cm-to-ms-on-good-administration/16809f007c>> [17.08.2023].
21. Recommendation of the Committee of Ministers of the Council of Europe CM/Rec(2014)7 on the protection of whistle-blowers, 30.04.2014, <<https://rm.coe.int/16807096c7>> [17.08.2023].
22. *Fortsakis Th. P.*, The Role of Individual Rights in the Europeanization of Tax Law, Book Title: Human Rights and Taxation in Europe and the World, *Kofter/Poiars Maduro/Pistone (eds.)*, Amsterdam, 2011, 96.
23. *Gvaramadze T.*, Georgian Administrative Law: From Soviet Era to European Standards, Book Title: Good Administration and the Council of Europe: Law, Principles, and Effectiveness, *Shtelkens UL. Andrijauskaitė Ag.*, (eds.), Oxford University Press, 2020, 707.
24. *Leuprecht M.*, The Contribution of the Council of Europe to Reinforcing the Position of the Individual in Administrative Proceedings, Roundtable with European Ombudsmen, Strasbourg, 1985, 1-10.
25. *Stelkens Ul., Andrijauskaitė Ag.*, Good Administration and the Council of Europe, Law, Principles, and Effectiveness, *Stelkens Ul., Andrijauskaitė Ag.*, (eds.), Oxford University Press, First Edition, 2020, 101-102, 109-112, 124-126.
26. *Shtelkens UL. Andrijauskaitė Ag.*, Added Value of the Council of Europe to Administrative Law: The Development of Pan-European General Principles of Good Administration by the Council of Europe and their Impact on the Administrative Law of its Member States, Discussion Papers, 86, German Research Institute for Public Administration Speyer, 2017, 34 – 43.
27. *Ibrahimbeyov and Others v. Azerbaijan*, [2023], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-223021>> [25.08.2023].
28. *Berzins and Others v. Latvia*, [2021], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-212012>> [18.08.2023].
29. *Romeva v. North Macedonia*, [2020], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-198885>> [25.08.2023].
30. *Čakarevic v. Croatia*, [2018], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-182445>> [19.08.2023].
31. *Beinarovic and Others v. Lithuania*, [2018], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-183540>> [19.08.2023].
32. *Tumeliai v. Lithuania*, [2018], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-179885>>
33. *Paleviciute and Dzidzeviene v. Lithuania*, [2018], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-179825>> [25.08.2023].
34. *Zolotas v. Greece*, [2013], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-116441>> [25.08.2023].

35. Rysovsky v. Ukraine, [2012], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/GEO?i=001-107088>> [20.08.2023].
36. Nejdet Şahin and Perihan Şahin v. Turkey, [2011], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-114761>> [25.08.2023].
37. Moskal v. Poland, [2010], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/GEO?i=001-94009>> [20.08.2023].
38. Dadouch v. Malta, [2010], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/GEO?i=001-99883>> [25.08.2023].
39. Lelas v. Croatia, [2010], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-98827>> [25.08.2023].
40. Lombardi Vallauri v. Italy, [2010], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/GEO?i=001-95150>> [23.08.2023].
41. Broniowski v. Poland, [2004], ECtHR, <<https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-61828>> [19.09.2023].
42. Council of Europe, Committee of Ministers, Final Activity Report, Submitted to the Committee of Ministers, Strasbourg, 1977, 12-19, <<https://rm.coe.int/native/090000168051651e>> [17.08.2023].